დანართი N3

საპრივატიზებო პირობები:

ხელი შეეწყოს ფეხბურთის პოპულარიზაციას და განვითრებას, რაც გამოიხატოს ახალგაზრდული გუნდების, ჯგუფების, კლუბების, ახალგაზრდული ჯგუფებისა და გუნდების/კლუბების მწვრთნელებისა და მომსახურე პერსონალის განვითარებასა და დაფინანსებაში, რაც უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ დადგენილი ვალდებულებებს, ასევე ქვეყანაში დამტკიცებულ პროგრამებსა და სტანდარტების მოთხოვნებს, გუნდების განახლება და შესაბამისი ჩემპიონიისთვის მომზადება.

მყიდველი ვალდებულია:

შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს (ს/კ 421277175) განვითარებისათვის მყიდველმა უზრუნველყოს არანაკლებ 500,000 ლარის ოდენობით ინვესტირება. შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს განვითარებისათვის ინვესტირების თანხა და ,,საპრივატიზებო პირობით'' დახარჯვა განახორციელეოს მომავალში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და საქართველოს ფეხბურთის (სპორტის) განვითარების სახელმწიფო პროგრამის არსებობის განმავლობაში ყოველწლიურად ორ ეტაპად. პირველი ეტაპი 1 ივლისამდე და მეორე ეტაპი 31 დეკემბრამდე.
კერძოდ:
1. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2020 წლის 1 ივლისამდე ჩაირიცხოს 250 000 ლარის ოდენობით და 2020 წლის 31 დეკემბრამდე 250 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.

2. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2021 წლის 1 ივლისამდე ჩაირიცხოს 250 000 ლარის ოდენობით და 2021წლის 31 დეკემბრამდე 250 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,საფეხბურო კლუბ წყალტუბოს სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.

3. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2022 წლის 1 ივლისამდე ჩაირიცხოს 250 000 ლარის ოდენობით და 2022 წლის 31 დეკემბრამდე 250 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,საფეხბურო კლუბ სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.

4. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2023 წლის 1 ივლისამდე ჩაირიცხოს 250 000 ლარის ოდენობით და 2023 წლის 31 დეკემბრამდე 250 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,საფეხბურო კლუბ წყალტუბოს სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და

არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს) ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.

5. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2024 წლის 1 ივლისამდე ჩაირიცხოს 250 000 ლარის ოდენობით და 2024 წლის 31 დეკემბრამდე 250 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,საფეხბურო კლუბ წყალტუბოს სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.

6.საქართველოს ფეხბურთის განვითარების პროგრამის გაგრძელების შემთხვევაში გააგრძელოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს განვითარებისთვის თანხის ინვესტირება და ხარჯვა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპის ანალოგიურად.

7. საქართველოს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დასრულების შემთხვევაში შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს განვითარებისათვის მყიდველმა თანხის ინვესტირება უნდა განახორციელოს ყოველწლიურად 500,000 (ხუთასი ათასი ლარი და ნული თეთრი) ლარის ოდენობით მითითებული პრინციპის ანალოგიურად, საიდანაც არაუმეტეს 80% მდე თანხა უნდა ჩაირიცხოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის, არანაკლებ 20% უნდა დაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.

8. შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს უმაღლესი ლიგის გუნდი დააკომპლექტოს არანაკლებ 50% საქართველოს მოქალაქე ფეხბურთელებით.

9. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინოს ამ პირობაში განსაზღვრული შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს განვითარებისათვის შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს''ჩარიცხული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტები (საგადახდო დავალება) ვალდებულების დადგომის ბოლო დღიდან 3 დღეში.

10. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინოს საქართველოში ლიცენზირებული აუდიტის დასკვნა ამ პირობის და საპრივატიზებო პირობის/ების მიზნობრივად ხარჯვის შესახებ, რის შემდგომაც შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები ვალდებულების დადგომის ბოლო დღიდან წარმოადგინოს 10 სამუშაო დღის ვადაში.

11. ყოველწლიურად უზრუნველყოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს საქართველოს ეროვნულ უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის პირობების დაკმაყოფილება და შესაბამისი ლიცენზიის მოპოვება, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილეობისათვის.

12. მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვთა გუნდების ფუნქციონირება (წელიწადში 100-200 ბავშვზე) უფასოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვების მიმართ, ასევე, საფეხბურთო სკოლა-აკადემიის ფუნქციონირება, ოფიციალური მატჩებისა და სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, ფიფას, უეფას და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დებულებებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

13.საქართველოს ფეხბურთის (სპორტის) განვითარების პროგრამის განმავლობაში შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს მიღებული თანხები თუ ისინი მიღებულია სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული პროგრამიდან ან შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს'' განვითარების თანხიდან არ გამოიყენოს ფეხბურთელის შესაძენად.

14. არ შეცვალოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს'' სპორტული პროფილი ,,ფეხბურთი''

15. მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

16.მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ საფეხბურთო კლუბმა შეასრულოს უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დადგენილი საკლუბო ლიცენზირების სავალდებულო მოთხოვნები და სხვა სტანდარტები;

17. მყიდველი ვალდებულია ერთ-ერთი საპრივატიზებო პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამყიდველს შპს ,,საფეხბურთო კლუბ სამგურალის'' 100% წილი, გაუმჯობესებული ქონება ყოველგვარი დავალიანების გარეშე დაუბრუნოს დაუყოვნებლივ შესაბამისი სარეგისტრაციო და სხვა საჭირო პროცედურების გავლის უზრუნველყოფის ჩათვლით, რის შემდგომაც გამყიდველი იმსჯელებს ხელშეკრულების შეწყვეტაზე.